Universal Investments

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ქ. თბილისში, შპს „იუნივერსალ ინვესთმენთის“ მიერ, ორთაჭალის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.18.10.003.025) იგეგმება ვერტოდრომის მოწყობა.
ვერტოდრომის მოწყობის მიზანია, შექმნას საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებით სერტიფიცირებული/ლიცენზირებული ვერტოდრომი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო და სამაშველო ოპერაციების განხორციელებას, ასევე ტურისტული, შათლის (საჰაერო ტაქსი) მომსახურებას და მომარაგებას.

საპროექტო ვეტოდრომი თავისი ფუნქციონალური მახასიათებლებიდან გამომდინარე (სამაშველო და სამედიცინო დახმარება, ტურისტული, შათლის მომსახურება და მომარაგება), მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს და ასევე ტურისტულ ინდუსტრიას გადაიყვანს საერთაშორისო უსაფრთხოების და ლოჯისტიკის მოწინავე სტანდარტებზე.

საპროექტო ვერტოდრომის პარამეტრების სიმცირიდან გამომდინარე, აღნიშნული ტიპის ვერტოდრომები, სხვადასხვა ქვეყნებში ქალაქის ცენტრებში, მდინარეების და ტბების სანაპიროებთან, ასევე მრავალსართლიანი შენობების სახურავებზეც ეწყობა. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ფრენები განხორციელდება ერთძრავიანი და მარტივი ორძრავიანი ვერტმფრენებით, ზემოქმედება ხმაურის კუთხით იქნება უმნიშვნელო და არ გამოიწვევს სხვა უაყოფითი გარემოფაქტორების წარმოქმნას.

ადგილის შერჩევა მოხდა შვეიცარელი კონსულტანტების (https://swiss-aerospace-cluster.ch) მიერ ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების/რეგულაციების გათვალისწინებით.

„სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად - ვერტოდრომი არის **აეროდრომი** ან დადგენილი ფართი ნაგებობის ზედაპირზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილია შვეულმფრენების ასაფრენ-დასაფრენად და მიმოსვლისთვის.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 9.4. ქვეპუნქტის თანახმად - აეროდრომის მშენებლობა ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

შპს იუნივერსალ ინვესთმენთს · VI სართული · ი. ჭავჭავაძის გამზ. 83ბ ბლოკი, ბინა 22 · თბილისი 0179 · საქართველო
ტ: +995 599 28 55 99
საიდენთიფიკაციო კოდი: 404999739

№ 12229
26.08.2019
2/06 ფ.

Universal Investments

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ვერტოდრომის მოწყობის სკრინიგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეეტილებას.

დანართი:

- ვერტოდრომის მოწყობის სკრინინგის ანგარიში;
- ვერტოდრომის განთავსების ტერიტორიის კოორდინატები (Shp ფაილები).

პატივისცემით,

შპს იუნივერსალ ინვესთმენთს · VI სართული · ი. ჭავჭავაძის გამზ. 83ბ ბლოკი, ბინა 22 · თბილისი 0179 · საქართველო
ტ: +995 599 28 55 99
საიდენთიფიკაციო კოდი: 404999739